



# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ15.15221851

თარიღი:04/07/2022

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული ღია კონკურსის შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების 24-ე მუხლის შესაბამისად,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე შეწყვეტილ იქნას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №15.15221801 ბრძანებით 2022 წლის 28 ივნისს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული ღია კონკურსი.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ კონკურსის შეწყვეტის შესახებ აცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროსა და კონკურსში მონაწილე კანდიდატებს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

